“ფახთაქორის” გეგმით

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 31 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ფახთაქორი” (ტაშკენტი) 1:1 (1:0).

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე, ებრალიძე, გუცაევი, გ. ნოდია, გ. მაჩაიძე (წერეთელი).

“ფახთაქორი”: ფილატოვი, ივანკოვი (აშოროვი), ვარიუხინი, მოგილნი, ბასოვი, ივანოვი (იაშაროვი), კორჩენოვი, ბელოვი, ისაკოვი, ფიოდოროვი, ხაძიპანაგისი.

მსაჯი: ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები – 2:2.

31 მაისს მაყურებლებმა კვლავ გულდაწყვეტილებმა დატოვეს “ლოკომოტივის” სტადიონი. თბილისის “დინამომ” ვერა და ვერ შეძლო არცთუ ძლიერი მეტოქის – ტაშკენტის “ფახთაქორის” დამარცხება და მხოლოდ 1 ქულას დასჯერდა. შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ არაჩვეულებრივად ითამაშეს სტუმრებმა. არა. ვერც ისინი იყვნენ სათანადო სიმაღლეზე, ხშირად უხეშობდნენ, რის წინააღმდეგაც მატჩის არბიტრი, ლენინგრადელი ვ. ალოვი ვერაფერს გახდა. ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავეთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები მიეღო, იგი მხოლოდ მორიდებული დატუქსვით იფარგლებოდა. ამიტომ იყო, რომ არც მასპინძლების, არც სტუმრების და არც მატჩის არბიტრის მოქმედება მაყურებელს არ მოეწონა. 28–ე წუთზე ებრალიძის მიერ გატანილი ბურთი არ წყვეტდა მატჩის ბედს.

როცა მატჩის პირველი წუთები მიიწურა, ნათელი გახდა “ფახთაქორის” ტაქტიკური ჩანაფიქრი. თითქმის ყველა მოთამაშე ცდილობდა ყოველი ღონე ეხმარა ერთი ქულის გადასარჩენად, საიმედოდ ჩაეკეტა გუცაევი, რომ თბილისელების აქტიურ ფორვარდს თავისუფლად მოქმედების საშუალება არ ჰქონოდა. “ფახთაქორის” ფეხბურთლებმა უფროსი მწვრთნელის ვ. სოლოვიოვის მიერ დასახული ამოცანა ფრიადზე შეასრულეს, ხოლო დინამოელებმა მინდორზე შექმნილ ვითარებას გასაღები ვერ მოუძებნეს.

ცნობილია, რომ თანამედროვე ფეხბურთში ერთ–ერთ მთავარ ძალას ნახევარდაცვა წარმოადგენს. ამ მხრივ ჩვენი გუნდის ეს რგოლი ბევრს შეშურდება, გვყავს მაღალი კლასის მოთამაშეები, მაგრამ, თუ ოსტატობა საკუთარი გუნდის სასარგებლოდ არ გამოიყენე, ვის რად უნდა შენი მაღალი კლასი? ოთხივე ნახევარმცველი კრილოვის იგავის არ იყოს, ისე მოქმედებდა, რომ “დინამოსთვის” მინიმალური სარგებლობაც არ მოჰქონდა. მ. მაჩაიძე ინდივიდუალური გარღვევებით, ბურთის გაუთავებელი გარდიგარდმო ტარებით აფერხებდა თავისი გუნდის იერიშებს, გ. გავაშელმა დასაწყისიდანვე ვერ მონახა თავისი ადგილი. ვერაფრით ეხმარებოდა პარტნიორებს გ. მაჩაიძეც, რომელმაც კარგად ჩაატარა ბოლო ორი მატჩი, განსაკუთრებით ერევნის “არარატთან”, ახლა კი ძალიან უღიმღამოდ, უსარგებლოდ თამაშობდა. შეიძლება ჯერ კიდევ ნაადრევია მისთვის ასეთი დიდი დატვირთვის მიცემა? გ. მაჩაიძეს ჩვენ ვხედავთ სამ ამპლუაში – მცველის, შემტევი ნახევარმცველისა და თავდამსხმელის როლში. ეტყობა, ახალგაზრდა ფეხბურთელს ჯერ კიდევ არ ჰყოფნის ძალა სამივე ფუნქციის შესასრულებლად. გუცაევი რომ საფუძვლიანად ჩაკეტეს ტაშკენტელებმა, მეორე თავდამსხმელი გ. ნოდია იზოლირებული აღმოჩნდა სტუმრების გარემოცვაში. მას მხოლოდ ერთხელ მიეცა

თავის გამოჩენის საშუალება და ძნელი მდგომარეობიდან დარტყმული ბურთი სულ ოდნავ ასცდა ტაშკენტელთა კარს.

თუკი თბილისელთა დაცვამ დაკისრებულ საქმეს პირველ ნახევარში ასე თუ ისე თავი გაართვა, სულ სხვა სურათის მოწმენი გავხდით შესვენების შემდეგ. მარცხენა ფრთაზე რამდენიმე ოსტატური რეიდი განახორციელა ტაშკენტელმა ფეოდოროვმა, რომლის წინააღმდეგაც ძოძუაშვილმა ვერაფერი გააწყო. იგრძნეს რა, რომ თბილისელთა დაცვას ბზარი გაუჩნდა, სტუმრებმა მთელი შემტევი ძალა მარცხნივ გადაიტანეს და სწორედ აქ მიაღწიეს წარმატებას, როცა მარტივ ვითარებაში გაიტანეს საპასუხო გოლი. საკუთარ საჯარიმო მოედანზე შეკრებილი ხუთი დინამოელი მეკარისგან მარცხენა ფრთაზე აღმოჩნდა, მარჯვენა მხარეს კი ადვილად გასასვლელი დერეფანი შეიქმნა და კარის სიახლოვეს გასულმა ორმა ფახთაქორელმა მარტივი კომბინაცია გაითამაშა. ფეოდოროვის ძლიერი დარტყმის მოგერიება უძნელესი საქმე იყო და თბილისელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში.

გადიოდა წუთები, მინდორზე კი ვითარება არ იცვლებოდა. საჭირო იყო თბილისელთა მხრიდან საგანგებო ზომების მიღება, პასიურად მოთამაშე ფეხბურთელთა შეცვლა (გ. გავაშელი, გ. მაჩაიძე), მაგრამ ეს მხოლოდ გვიან, თამაშის დამთავრებამდე სულ 15 წუთით ადრე მოხდა. მინდორზე შემოსული წერეთელი და მჭედლიშვილი ჩაებნენ თამაშში, ერთ–ერთი საჯარიმოს გათამაშების შემდეგ წერეთლის უძლიერესი დარტყმა ოსტატური ნახტომით მოიგერია ტაშკენტელთა მეკარე ფილატოვმა. დინამოელთა რიგებში ცვლილებამ კარგი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ეს რომ მეორე ტაიმის დასაწყისისთვის მომხდარიყო, ვინ იცის, რა შედეგით დამთავრდებოდა მატჩი.

“ლელო”, 2 ივნისი, 1974 წ.